ელექტრონული ფორმით დოკუმენტაციის გაფორმების და მიმოცვლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

აღნიშნული წესი არეგულირებს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია"-სა (ს/კ 406350112) (შემდგომში -ასოციაცია) და კანონმდებლობით განსაზღვრული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი კოლექტიური სქემის წევრად გახდომის მსურველ პირს, ასოციაციისა და ასოციაციის წევრს და სხვა პირთან ურთიერთობას, რაც გულისხმობს ელექტრონული წესით წევრად გახდომის თაობაზე განაცხადის წარმოდგენის, ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი ხელშეკრულების ელექტრონული წესით გაფორმების, ელექტრონულად ინფორმაციის/დოკუმენტი მიმოცვლის (მათ შორის რეციკლირების წინასწარი გადასახადის ინვოისი ან/და დავალიანების თაობაზე გამოწერილი ფინანსური დოკუმენტი) და სხვა ურთიერთობებს ელექტრონული პლატფორმის: www.wasteless.ge- მეშვეობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს, მისი მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **wasteless (ბრენდირებული სახელწოდება)** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული ა(ა)იპ საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია (შემდგომში-ასოციაცია) საიდენტიფიკაციო ნომერი: 405430494, რეგისტრირებული: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 101.

ბ) www.wasteless.ge - wasteless-ის საკუთრებაში არსებული ელექტრონული პლატფორმა (შემდგომში- პლატფორმა), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობითა და ასოციაციის მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ქმედებების განხორციელება, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული ნარჩენების მართვის სფეროსთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მათ შორის: წევრად მიღება, ინფორმაციის მიმოცვლა და სხვა.

გ) **მომხმარებელი** - პლატფორმაზე რეგისტრირებული ასოციაციის წევრი (შემდგომში- მწარმოებელი პირი) , სამოქალაქო კოდექსით და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი და მისი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და წარმომადგენლობაზე საამისოდ უფლებამოსილი ნებისმიერი ფიზიკური პირი შესაბამისი წარმოდგენილი მინდობილობით და ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

დ) **დოკუმენტი** – ხელშეკრულება(ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე შესაბამის ავტორიზებულ მიმართულოებაზე) ინვოისი და სხვა დოკუმენტი, რომლის მიმოცვლაც შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შორის პლატფორმის მეშვეობით.

ე) **განცხადება** - ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი დაინტერესებული პირის მომართვის საფუძველზე შექმნილი დოკუმენტი;

ვ) **ხელშეკრულება** -დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ასოციაციის წევრობა ნარჩნების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი სპეციფიკური ნარჩენის ავტორიზებულ მიმართულებაზე.

ზ) **ინვოისი-** ფინანსური დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც, მწარმოებელი იხდის რეციკლირების გადასახადს ან სხვა ფულად ვალდებულებას/ვალდებულებებს ასოციაციაში.

თ) **სხვა დოკუმენტი** - ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ასოციაციას და

ი) **პირი**–სამეწარმეო, სამოქალაქო და ნარჩენების მართვის კანონმდებლობით განსაზღვრული, ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი ნებისმიერი პირი, რომლის საქმიანობაც ექვემდებარება მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას ან/და ნებისმიერი პირი რომლის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სპეციფიკური ნარჩენის მართვა ასოციაციის კოლექტიური შესაბამისობის სქემის თანხმად ნარჩენების მართვას ემსახურება.
კ) **ავტორიზებული მიმართულება**– საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ასოციაციის ავტორიზება შესაბამისი ნარჩენის ნაკადის მიმართულებაზე (ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა/ზეთები/საბურავები/ბატარეები და აკუმულატორები).
ლ) **მხარე** – ასოციაცია და ასოციაციის წევრი ერთობლივად ან/და ასოციაცია და ასოციაციის წევრი ცალ–ცალკე.

მუხლი 3. ასოციაციაში გაწევრიანების ელექტრონული წესით განაცხადის წარმოდგენა და შესაბამისი ნარჩენის ნაკადის ავტორიზებულ მიმართულებაზე ელექტრონული წესით ხელშეკრულების გაფორმება

3.1 ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი, პირველ ეტაპზე ახორციელებს ასოციაციის ვებგვერდზე რეგისტრაციას, რომლის წესები და პირობები განსაზღვრულია შესაბამის აქტში და რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე.
3.2 ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი, ვებგვერდზე რეგისტრაციის პროცესში ეთანხმება შესაბამისი აქტების გაცნობას, მათ შორის ელექტრონული წესით ხელშეკრულების გაფორმებას, რომელსაც გააჩნია გააჩნია იურიდიული ძალა.
3.3 ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი, ასოციაციის ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდგომ, ახორციელებს წევრობის განცხადის წარმოდგენას ვებგვერდის მეშვეობით და შემდეგნაირად:
3.1 პუნქტით განსაზღვრული რეგისტრაციის შემდგომ, ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი გადადის პირად გვერდზე და ავსებს შესაბამის ველებს, ხელშეკრულების გასაფორმებლად და გადის შემდეგ პროცედურებს, კერძოდ კი:

თუ ხელშეკრულების ხელმომწერი პირი არ არის დირექტორი, შესაბამის გრაფაში ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი ამატებს მინდობილ პირს ღილაკით

– კომპანიის წარმომადგენელი

–ახალი თანამშრომელი

–სახე – დირექტორი ან მინდობილი პირი

–სახელი, გვარი

–პირადი ნომერი

გრაფაში: ატვირთე დოკუმენტი:

იტვირთება მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელ მოწმობა PDF ფაილის ფორმატში.

პირი შექმნილ მოაცამებს ინახავს შესაბამისი ღილაკით – შენახვა.

პირადი კაბინეტი:

ირჩევს მგვ ორგანიზაციის წევრობის რეგისტრაციის პროცესს.

რა დროსაც ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი ირჩევს:

მოდულის განაცხადი:

მოდული

ჩამოსაშლელი გრაფა გთხოვთ აირჩიოთ მოდული (ავტორიზებული ოთხი მიმართულების ჩანაწერის არჩევის ფუნქციით, იმის შესაბამისად რომელი ნარჩენის ნაკადის მწარმოებელიცაა ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი)

ხელისმომწერი პირი არჩევის ფუნქციით (აღნიშნულ გრაფაში აისახება დირექტორის რეკვიზიტები ან დამატებული მინდობილი პირის რეკვიზიტები)

დირექტორი ან მინდობილი პირი.

ამის შემდგომ ირჩევს:

განაცხადის გაგზავნა

რა დროსაც იხსნება განაცხადის შესაბამისად არჩეული მომხარებლის მოდული (მომლოდინე სტატუსით).

განაცხადის გაგზავნის შემდგომ, (წარმოდგენილი განაცხადი ხელმოწერილად ითვლება და წარმოდგენილ განაცხადს ენიჭება შტამპი: ხელმოწერილია), ასოციაცია წესდების (იხ. შენიშვნა) შესაბამისად, განიხილავს მოდულის გააქტიურების შესახებ მიღებულ განაცხადს. მიღებული განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ღილაკით -მოდულის გააქტიურება, დასტურდება ასოციაციის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმების დასტური.

(შენიშვნა წესდების შესაბამისად, განაცხადს, გაწევრიანებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაეცემა განაცხადის დაფიქსირებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში)

(შენიშვნა ელექტრონული წესით ასოციაციის მხრიდან დადასტურების შემდგომ სტატუსი იცვლება ,,დასადასტურებული"

- მომხმარებლის მოდულში იხსნება კონტრაქტის დადასტურების ღილაკი
- კონტრაქტის დადასტურების ღილაკზე დაჭერით გამოდის შეტყობინება
- ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირის მიერ ხორციელდება გრაფაში - ხელშეკრულების დადასტურება: სმს კოდის შეყვანით ვადასტურებ რომ გავეცანი და ვეთანხმები ხელშეკრულებას

ხელშკრულების გასაცნობად ასოციაციში გაწევრიანების მსურველი პირი, აჭერს გრაფას ,,ხელშეკრულება" და გაიხსნება დოკუმენტის შაბლონი

ხელშეკრულების დასადასტურებლად, ასოციაციში გაწევრიანების მსურველი პირის მიერ ვებგვერდზე რეგისტრაციის შედეგად დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე იგზავნება სმს კოდი

ასოციაციში გაწევრიანების მსურველი პირს შესაბამის გრაფაში შეყავს მიღებული სმს კოდი

- ვადასტურებ ან უარყოფა

სმს კოდის შეყვანით და ვადასტურებ ღილაკის გამოყენებით მომხმარებელი ადასტურებს: ხელშეკრულების დადების წესებს და პირობებს.

ასოციაციში გაწევრიანების მსურველი პირის მიერ ვებგვერდზე რეგისტრაციის შედეგად დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი სმს შეიცავს ხელშეკრულების ნომერს (რომელიც ავტომატურად ენიჭება ხელშეკრულებას დასადასტურებელი სმს კოდის მიღების დროს)

დადასტურების შემდგომ ხელშეკრულების სტატუსი იცვლება ,,აქტიური"-თ

ხელმოწერილი ხელშეკრულება ინახება მოდულში ,,დოკუმენტაცია"

ხელშეკრულების აქტიურ სტატუსში გადასვლის შემდგომ დოკუმენტში ჩნდება ჩანაწერი

- ხელშეკრულების გაფორმების დადასტურება განხორციელდა მობილურ ნომერზე: _____ გაგზავნილი სმს კოდით: _____
- მხარეთ რეკვიზიტების გრაფაში ჩნდება დირექტორი ან მინდობილი პირის მონაცემები
  და ასოციაციის და ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირის ხელმოწერათა გრაფაში, ორივე მხარეს ჩნდება შტამპი: ხელშეკრულება ხელმოწერილია.

მუხლი 4. მხარეთა შორის, წინამდებარე წესის მე-3 მუხლის შესაბამისად განაცხადის წარმოდგენის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების იურიდიული ძალა

4.1 წინამდებარე წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის და მის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ფორმაც დამტკიცებულია ასოციაციის შესაბამისი მართვის ორგანოს მიერ, წარმოადგენს ასოციაციის წევრობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც გამოიყენება ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი.

4.2 წინამდებარე წესის მიზნებისათვის მხარეთ შორის ხელშეკრულების გაფორმების წესი არ გამორიცხავს, სხვა ფორმით მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმების წესს.

მუხლი 5. პლატფორმის მეშვეობით, მხარეთა შორის ინფორმაციის/დოკუმენტის მიმოცვლა და სხვა ურთიერობების განხორციელება

5.1 პლატფორმის მეშეობით, განხორციელდება, ყოველთვიური რეციკლირების წინასწარი გადასახადის დადგენისათვის საჭირო ინფორმაციის გამოთხოვა მომხმარებლისაგან და მის საფუძველზე, პლატფორმის მეშვეობით, ასოციაცია უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის ინვოისის მიწოდებას, ასოციაციის მარეგულირებელი წესების და კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2 ყველა სხვა დოკუმენტის მიწოდება/ გამოთხოვა და სხვა ურთიერთობები, მათ შორის ნარჩენის გადმოცემა, განხორციელდება პლატფორმის შესაბამისი ველების შევსების და დასტურების მეშვეობით, რა დროსაც გამოთხოვილ ან/და მოწოდებულ დოკუმენტს გააჩნია იურიდიული ძალა გააჩნია, სამართლებრივ ურთიერთობებისათვის.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე წესი ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6.2 განხორციელდეს ასოციაციის არსებული სხვა ყველა დანარჩენი წევრების დამატება პლატფორმაზე, წესის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში.

6.3 წესში, ცვლილებები ან/და დამატებების შეტანა, ასოციაციის მიერ, განხორციელდება შესაბამისი წესით და კანონმდებლობის საფუძველზე.